ლე მერიდიანის სასტუმროს სამუშაოების
სატენდერო განმარტებითი ბარათი

შავი სამუშაო (Shell & Core)

კონტრაქტორმა უნდა გაითვალისწინოს რომ ამ სატენდერო მოცულობაში გათვალისწინებულია მხოლოდ შავი სამუშაოები (Shell & Core). რომელიც მოიცავს: ბლოკის სამუშაოებს, თაბაშირ-მუყაოს ტიხრებს და კედლებს, თაბაშირ-მუყაოს ჭერებს.

პროექტის არქიტექტუულ ნაწილში მოცემული თაბაშირ-მუყაოს ტიხრების მონტაჟისას აუცილებლად გასათვალისწინებელი საკითხია ინტერიერის პროექტში მოცემული მოპირკეთებები და მათი ამ კედლებში ჩამაგრება-მონტაჟი. ფიქსირებული ნივთების და აქსესუარების კედლებში ჩამაგრების პრინციპი ნახაზში დეტალურად არის მოცემული.

MEP თვალსაზრისით თაბაშირ-მუყაოს კედლებში, ზოგიერთ ადგილას, მოსაწყობი იქნება საინჟინრო კომუნიკაციები, რის გამოც პირველ ეტაპზე მოეწყობა სამაგრი კონსტრუქციები და ან/თან კედლის ცალი მხარე, ხოლო საინჟინრო კომუნიკაციის მოწყობის შემდეგ მოხდება მათი ჩახურვა. ამისათვის საჭირო იქნება MEP კონტრაქტორთან აქტიური კომუნიკაცია. ტიხრების, კედლების და ჭერების ჩახურვა მოხდეს სანჟინრო კომუნიკაციების გაყვანილობის შემდეგ. შესაბამისად კონტრაქტორმა უნდა გაითვალისწინოს და დაგეგმოს სამუშაო პროცესის ნიუნასები და უზრულვეყოს რესურსების მოქნილობა და მორგება მიმდინარე პროცესებზე. ჩახურვების - ისევე როგორც ტიხრებისა თუ ჭერების მოწყობის თანმიმდევრობა და სისრულე უნდა მოხდეს ინჟინრის მიერ დადასურების შემდეგ.

<u>პროცესის სრულყოფის მიზნით კონტრაქტორი ვალდებული იქნება „სანიმუშოდ“ გააკეთოს მხოლოდ ერთი სართული რათა მოხდეს შავი სამუშაოების და საინჟინრო აქტივობების კოორდინაცია. ერთი სართულის დასრულებისა და შესაბამისი ზედამხედველის მიერ დადასტურების შემდეგ გაიცემა სხვა სართულებზე სამუშაოების დაწყების ნებართვა.</u>

დამკვეთი იტოვებს უფლებას, სანიმუშო სართულზე არადამაკმაყოფილებელი ხარსხის შემთხვევაში შეწყვიტოს ხელშეკრულება კონტრაქტორთან.

სამუშაოების ანაზღაურება განხორციელდება ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს მიხედვით ხარჯთაღრიცხვაში მოცემული ერთეულის ფასის მიხედვით. კონტრაქტორი ვალდებულია აწარმოოს ფარული სამუშაოს აქტები და საშემსრულებლო ნახაზები - ინჟინრის მიერ ითითებული სტანდარტებითა და დეტალიზაციით.

მომიჯნავე საინჟინრო ნაწილის სამუშაოები

კონტრაქტორმა უნდა გაითვალისწინოს რომ არქიტექტურული ნაწილის მომზადების (შავი სამუშაოების პარალელურად იწარმოებს საინჟინრო სამუშაოები, რომელიც მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება: კომუნიკაციების დაქსელვა (მილგაყვანილობა-დგარები, ელექტროობა, სუსტი დენები, ჰაერსატარები, სადრენაჟე მილები, სახანძრო სისტემები, მართვის სისტემები,

სანტექნიკური სამუშაოები და ა.შ.) გარდა საბოლოო ფურნიტურის (როზეტები, აბაზანის აქსესუარები, მართვის პანელები, განათების ელემენტები, სპრინკლერის თავები და სხვა) მონტაჟისა.

კონტრატორი ვალდებულია მოახდინოს საკუთარი სამუშაოების კოორდინაცია და საინჟინრო აქტივობებთან, ისე რომ არ შეუშალოს მომიჯნავე კომპანიას ხელი მის მიერ სამუშაოების განხორციელებაში.

სამუშაოების ანაზღაურება განხორციელდება ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს მიხედვით ხარჯთაღრიცხვაში მოცემული ერთეულის ფასის მიხედვით.

სამუშაოების დასრულების შემდეგ, კონტრაქტორის მიერ წარმოდგენილი ხარისხის გარანტია რჩება დამკვეთის განკარგვის ქვეშ, სანამ არ მოხდება შესრულებული სამუშაოების სრული და ხარისხობრივად უნაკლო მიჩნევა და გადაბარება მოპირკეთების ქვეკონტრაქტორზე.